



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2019-2022 წლების სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შესრულების 2019 წლის ანგარიში

### შესავალი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის (შემდგომში - ასოციაცია) მიზანია უზრუნველყოს იურიდიული პროფესიის ერთიანობა, ხარისხიანი და სანდო მართლმსაჯულების სისტემის დამკვიდრება იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობისა და საადვოკატო საქმიანობაში მაღალი პროფესიული სტანდარტების ხელშეწყობით.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად ასოციაციის მიერ შემუშავდა და დამტკიცდა 2019-2022 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც მომზადდა [ევროპის საბჭოსა \(COE\)](#) და [გაეროს განვითარების პროგრამის \(UNDP\)](#) მხარდაჭერით, PMCG-ის ექსპერტების მიერ. მომზადების ეტაპზე განხორციელდა გარემოს და ასოციაციის ორგანიზაციული საქმიანობის შეფასება, თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების ანალიზის საფუძველზე. შედეგად, გამოვლინდა ასოციაციის გამოწვევები და განისაზღვრა სამომავლო საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებები.

ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს 2019 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით დამტკიცდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2019-2022 წლების სტრატეგიული სამოქმედო გეგმა, რომელიც საჯაროა ყველა დაინტერესებული პირისთვის და განთავსებულია [ასოციაციის ვებ-გვერდზე](#).


ასოციაციის თავმჯდომარის ბრძანებით განისაზღვრა სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის განხორციელების წესი და პასუხისმგებელი პირები - შესრულების წლიური ანგარიშები განთავსდება საჯაროდ ასოციაციის ვებ-გვერდზე და გაეგზავნება ასოციაციის წევრებს.

### მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიში ასახავს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2019 წელს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების პროგრესს. ანგარიშში წარმოდგენილია სტრატეგიული მიმართულებით არსებული საოპერაციო ამოცანების და შესაბამისი აქტივობების შესრულების მდგომარეობა. ანგარიში მოიცავს ინფორმაციას მხოლოდ იმ აქტივობების შესახებ,

რომელთა შესრულებაც ან ინიცირება გათვალისწინებულია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში (2019 წლის იანვარი-დეკემბერი).

მონიტორინგის წესის თანახმად, სტრატეგიული გეგმის ძირითადი განმახორციელებელი პირები არიან ასოციაციის აპარატის სტრუქტურული ერთეულების მენეჯერები და აპარატის თანამშრომლები.



სტრატეგიის პროგრეს ანგარიში მზადდება 6 თვეში და წელიწადში ერთხელ, ხოლო მონიტორინგის ანგარიში ყოველ ორ წელიწადში:

- 6 თვიანი და 1 წლიანი პროგრეს ანგარიში მოიცავს საანგარიშო პერიოდში განსახორციელებელ აქტივობებს;
- მონიტორინგის ანგარიში მოიცავს ინფორმაციას სტრატეგიული ამოცანების შესრულების შესახებ.

წინამდებარე ანგარიში ითვალისწინებს სტრატეგიული მიმართულებიდან გამომდინარე საანგარიშო პერიოდში შესრულებულ კვლევით და ანალიტიკური ხასიათის დოკუმენტებს, აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებებსა და სტატისტიკურ მონაცემებს.

### სტრატეგიული მიზანი 1. ასოციაციის მომსახურებათა სრულყოფა და გამრავალფეროვნება

საოპერაციო ამოცანა 1.1. ასოციაციის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო ღონისძიებების/პროგრამების ხარისხისა და ორგანიზაციული ასპექტების სრულყოფა

1.1.1. ასოციაციის წევრთა საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო ღონისძიებების გამოვლენის ეფექტიანი მექანიზმის შექმნა და დანერგვა


**აქტივობა:** არსებული მექანიზმის ეფექტიანობის ანალიზი და სხვა ქვენების ადვოკატთა გაერთიანებების შესაბამისი პრაქტიკის შესწავლა

ევროპის საბჭოს მხარდაჭერით განხორციელდა სასწავლო პროცესების მენეჯმენტის შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. ამასთან, ტრენინგ საჭიროებების განსაზღვრის მიზნით, დანერგა ადვოკატთა ელექტრონული ფომით გამოკითხვის პრაქტიკა.

**1.1.2. საგანმანათლებლო ღონისძიებებზე წევრთა გამარტივებული წვდომის უზრუნველყოფა**

**აქტივობა:** ელექტრონული კალენდრისა და ღონისძიებებზე ონლაინ რეგისტრაციის ფორმის შექმნა

საგანმანათლებლო ღონისძიებებზე წევრთა გამარტივებული წვდომის უზრუნველყოფის მიზნით, ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე 2019 წლის იანვრიდან შეიქმნა ონლაინ რეგისტრაციის პლატფორმა - ღონისძიებების [ელექტრონული კალენდარი](#), რომლის საშუალებითაც ადვოკატთა ასოციაციის წევრებს შესაძლებლობა აქვთ ელექტრონულად დარეგისტრირდნენ და დაესწრონ მათთვის სასურველ საგანმანათლებლო ღონისძიებას. ამასთან, შეიქმნა ადვოკატის ვებ-პორტალი, სადაც მოხდება ზემოხსენებული კალენდრის ინტეგრირება.



**აქტივობა:** ელექტრონულ კალენდარზე საგანმანათლებლო ღონისძიებების თემატიკათა განთავსება კვარტალურად

ელექტრონული კალენდრის მეშვეობით კვარტალურად ხდება ახალი ღონისძიებების გამოქვეყნება.

**აქტივობა:** სასწავლო ცენტრის განახლებული პორტალის შექმნა

ადვოკატის პორტალზე მუშაობა დასრულებულია და USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით შემუშავდა სოფტი, რომლის პრეზენტაციაც 2020 წლის დასაწყისში გაიმართება.

#### 1.1.4. ასოციაციის ტრენერთა ბაზის ფორმირება

**აქტივობა:** მაღალკვალიფიციურ და მოთხოვნად ტრენერთა გამოვლენა და მათთან თანამშრომლობის დაწყება/გაგრძელება

2019 წლის განმავლობაში დამატებით გამოვლინდა მაღალკვალიფიციური და მოთხოვნადი ტრენერები/ექსპერტები, რომლის საფუძველზეც შესაბამისი შესაბამისი ტრენერთა/ექსპერტთა განახლებადი ბაზა

**აქტივობა:** ტრენერთა ბაზაში მყოფი პირებისთვის ზრდასრულთა სწავლების მეთოდოლოგიაში ტრენინგების ჩატარება

**ევროპის საბჭოს (COE)** მხარდაჭერით, ევროპელი ექსპერტის მიერ ასოციაციის ტრენერთა ორი ჯგუფისთვის ჩატარდა ორ-ორ დღიანი გასვლითი ტრენერთა ტრენინგი. ტრენინგის შინაარსი მოიცავდა ზრდასრულთა სწავლების მეთოდოლოგიას და სწავლების ეფექტურ მიდგომებთან დაკავშირებულ საკითხებს.

#### 1.1.5. ასოციაციის საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზების სტანდარტის დადგენა

**აქტივობა:** საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზების არსებული პროცესების შესწავლა-ანალიზი და ნაკლოვანებების გამოვლენა

ასოციაციის საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზების სტანდარტის დადგენის მიზნით, **ევროპის საბჭოს (COE)** მხარდაჭერით განხორციელდა არსებული საგანმანათლებლო პროცესების ორგანიზების სპეციფიკის შეფასება, ხორვატი ექსპერტის - ვისნია მარინოვიჩის მიერ.

**აქტივობა:** ღონისძიებების ორგანიზების სტანდარტის (სტანდარტული პროცედურების) დოკუმენტის შემუშავება

ზემოაღნიშნული რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავდა გაიდლაინი, რომელიც გამოიყენება სასწავლო ცენტრის მიერ. ექსპერტის მიერ ასევე შემუშავდა ტრენინგ ციკლის მენეჯმენტის სახელმძღვანელო.

### საოპერაციო ამოცანა 1.2. პროფესიაში შესვლის სისტემისა და სტანდარტის შემდგომი სრულყოფა

#### 1.2.2. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის შინაარსობრივი, პროცედურული და ორგანიზაციული ასპექტების სრულყოფა

**აქტივობა:** ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის შინაარსობრივი ასპექტების შეფასება-ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, შესაბამისი დარგის ექსპერტთა მიერ შეფასდა საგამოცდო პროგრამა, რომელიც განახლდა და დამტკიცდა აღმასრულებელი საბჭოს მიერ.

**აქტივობა:** საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის ადაპტირება შშმ პირების საჭიროებებზე

კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროგრამასთან (USAID-PROLoG) თანამშრომლობის ფარგლებში, საკვალიფიკაციო გამოცდის პორტალში განხორციელდა ცვლილება - დაემატა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის (უსინათლო და მცირე მხედველობის მქონე) ადაპტირებული ვერსია. ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა განახლებული პორტალის საშუალებით ჩატარდა მიმდინარე წლის გაზაფხულზე. ზემოაღნიშნული პროგრამით უკვე ისარგებლა ორმა აპლიკანტმა.

### საოპერაციო ამოცანა 1.3. სამიზნე ჯგუფებისა სხვა დაინტერესებული პირებისათვის ეფექტიანი მომსახურების პაკეტის შექმნა და მისი თანმიმდევრულად მიწოდება

1.3.1. ასოციაციის საგანმანათლებლო ღონისძიებების გამრავალფეროვნება

**აქტივობა:** განგრძობადი იურიდიული განათლების (გიგ) არსებული კონცეფციისა და ფორმატის გადახედვა, განახლება და დივერსიფიკაცია

ტრენინგების გარდა დაინერგა კონფერენციების და საჯარო ლექციების ფორმატი და უკვე განხორციელდა შესაბამისი აქტივობები. ამასთან, გამოიკვეთა განგრძობადი იურიდიული განათლების (გიგ)-ის ახალი კონცეფციის და დებულების შემუშავების საჭიროება, რაზეც მუშაობა უკვე დაწყებულია.

1.3.2. ადვოკატებსა და იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენლებს შორის კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაზიარების ხელშეწყობა

**აქტივობა:** ბენჩ-ბარის ფორმატის ღონისძიებათა ორგანიზება

2019 წლის განმავლობაში ჩატარდა 2 ბენჩ-ბარის ფორმატის ღონისძიება:

1. შრომის საერთაშორისო სტანდარტები
2. რეზონანსული საქმეების განხილვის თავისებურებანი

1.3.4 მოწყვლადი ჯგუფებისათვის პრო ბონო მომსახურებათა შემდგომი განვითარება

**აქტივობა:** ასოციაციის არსებული პრობონო აქტივობების ანალიზი და შესაძლებლობების შეფასება

ევროსაბჭოს ექსპერტის მხარდაჭერითა და ევროპელი ექსპერტის ჩართულობით განხორციელდა პრობონო საქმიანობის მიმართულებით არსებული მდგომარეობის შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

**აქტივობა:** ადვოკატთა ასოციაციის პრობონო საქმიანობასთან დაკავშირებით საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობა

პრო ბონო მიმართულების შემდგომი განვითარებისა და ინსტიტუციონალიზაციისთვის, პრო ბონო საქმიანობასთან დაკავშირებით საერთაშორისო პრაქტიკის გასაცნობად, [ევროპის საბჭოს \(COE\)](#) მხარდაჭერით, ადვოკატთა ასოციაციის დელეგაცია სამუშაო ვიზიტით უნგრეთში, ქალაქ ბუდაპეშტში იმყოფებოდა. ასოციაციის წარმომადგენლებმა პრობონო სისტემის დანერგვისა და განვითარების მეთოდების გაცნობის მიზნით, შეხვედრები გამართეს უნგრეთის, ჩეხეთისა და პოლონეთის ადვოკატთა ასოციაციების, არასამთავრობო სექტორის, საერთაშორისო იურიდიული კომპანიებისა და PILnet-ის წარმომადგენლებთან.

1.3.5. იურიდიული კლინიკების განვითარება

**აქტივობა:** ადვოკატთა ეთიკის კლინიკის შემდგომი პოპულარიზაცია

EWMI-PROloG-ის პროექტის ფარგლებში სტუდენტებში პროფესიული ქცევის სტანდარტების პოპულარიზაციისთვის ადვოკატთა ასოციაციის ბაზაზე ხორციელდება ეთიკის კლინიკა. კლინიკის განვითარებისთვის ეთიკის კლინიკის სტუდენტთა მონაწილეობით მომზადდა პრომო კლიპი, რომელიც განთავსდა ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე და მიეწოდა უნივერსიტეტებს. ამასთან, დაიბეჭდა კლინიკის საინფორმაციო ბროშურები და ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები უნივერსიტეტებში სტუდენტებისთვის კლინიკის შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაწოდებლად.

**სტრატეგიული მიზანი 2. საადვოკატო საქმიანობის დაუბრკოლებლად განხორციელებისთვის სათანადო გარემოს შექმნის ხელშეწყობა**

**საოპერაციო ამოცანა 2.1. საადვოკატო საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს შემდგომი სრულყოფა**

2.1.1. საადვოკატო საქმიანობასთან დაკავშირებული საჭირო საკანონმდებლო ინიციატივების გამოვლენა და ცვლილებების ადვოკატირება

**აქტივობა:** დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და საკანონმდებლო პაკეტის პარლამენტში ინიცირების ხელშეწყობა

საადვოკატო საქმიანობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ინიციატივების იდენტიფიცირების მიზნით, 2019 წლის დეკემბერში, [ევროპის საბჭოს \(COE\)](#) მხარდაჭერით, გაიმართა გასვლითი შეხვედრა, რომელსაც ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს და ეთიკის კომისიის წევრები, ასევე დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე საადვოკატო საქმიანობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა და მომზადდა შესაბამისი ცვლილებების პაკეტის პროექტი.



2.1.2. ასოციაციის შიდა უწყებრივი აქტების ერთმანეთთან და საადვოკატო საქმიანობის მარეგულირებელ ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანა

**აქტივობა:** ერთმანეთთან და მოქმედ საკანონმდებლო ჩარჩოსთან მიმართებაში ასოციაციის შიდა უწყებრივი აქტების შესაბამისობის შეფასება და არსებული კოლიზიების გამოვლენა

ასოციაციის შიდაუწყებრივი აქტების ერთმანეთთან და საადვოკატო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, [ევროპის საბჭოს \(COE\)](#) მხარდაჭერით, განხორციელდა არსებული შიდაუწყებრივი აქტების ანალიზი. ანალიზის შედეგად გამოვლენილი კოლიზიების საფუძველზე შეფასდა საჭიროებები და შემუშავდა რეკომენდაციები. შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, ასოციაცია მომდევნო წლისთვის შეიმუშავებს ცვლილებების პაკეტს.

### სტრატეგიული მიზანი 3: ადვოკატთა კორპუსისა და საზოგადოების ინტერესების ეფექტიანად დაცვა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის პრინციპებისა და სტანდარტების განხორციელებით

საოპერაციო ამოცანა 3.2. ეთიკის კომისიის საქმიანობის შემდგომი სრულყოფა ასოციაციის წევრების მიერ პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვის უზრუნველსაყოფად

3.2.1. ეთიკის კომისიის პრაქტიკის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

**აქტივობა:** ეთიკის კომისიის რჩეულ გადაწყვეტილებათა კრებულის გამოცემა

კომისიის პრაქტიკის ხელმისაწვდომობისთვის, UNDP-ის პროექტის მხარდაჭერით 2019 წლის ნოემბერში კომისიის რჩეულ გადაწყვეტილებათა ელექტრონული კრებული გამოიცა, რომელიც განთავსდა ასოციაციის ვებ-გვერდზე და მიეწოდა სამართლის ელ. ბიბლიოთეკას.

საოპერაციო ამოცანა 3.3. ასოციაციის ეთიკის კომისიის ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერება

3.3.1. ასოციაციის ეთიკის კომისიის სამუშაო პროცესების ელექტრონიზაცია

**აქტივობა:** ეთიკის კომისიის საქმისწარმოების ეფექტურობის გასაუმჯობესებლად ჩარჩო პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვისათვის ტექნიკური დავალების შემუშავება.

ეთიკის კომისიის საქმისწარმოების ეფექტურობის გასაუმჯობესებლად ჩარჩო პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვისათვის, ასოციაციის მიერ შემუშავდა შესაბამისი ტექნიკური დავალების დოკუმენტი, რაც მოიცავს ეთიკის კომისიის საქმისწარმოების სისტემის დეტალურ აღწერას.

## სტრატეგიული მიზანი 4. ადვოკატთა ასოციაციის და მის წევრთა საზოგადოებრივი იმიჯის გაუმჯობესება

### საოპერაციო ამოცანა 4.1. ასოციაციის საქმიანობის შესახებ წევრებისა და დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლება

#### 4.1.1. ასოციაციის საკომუნიკაციო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება

ადვოკატთა ასოციაციის ეფექტიანი პოზიციონირებისა და პოზიტიური იმიჯის ფორმირებისთვის, ასოციაციის საკომუნიკაციო არხების შეფასებისა და არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების მიზნით, [ევროპის საბჭოს \(COE\)](#) მხარდაჭერით შემუშავდა ასოციაციის 2019-2020 წლების საკომუნიკაციო სტრატეგია. საწყის ეტაპზე შეფასდა ასოციაციის საქმიანობა და საკომუნიკაციო არხები, როგორც თვისებრივი, ასევე, რაოდენობრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით. სტრატეგია მიზნად ისახავს ასოციაციის საქმიანობაში ადვოკატთა ჩართულობის გაზრდას, შიდა და გარე საკომუნიკაციო არხების სრულყოფას და ასოციაციის პოპულარიზაციას. საკომუნიკაციო სტრატეგის შესაბამისად შემუშავებული 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელება ეტაპობრივად მიმდინარეობს.

#### 4.1.3. ასოციაციის საქმიანობის თაობაზე მომხმარებლების, დაინტერესებული მხარეებისა და ფართო საზოგადოების ოპერატიულად ინფორმირების გაუმჯობესებული პრაქტიკის დანერგვა

**აქტივობა:** ასოციაციის წლიური ანგარიშის განახლებული ფორმატის მომზადება და დამტკიცება

USAID/PROLoG-ის მხარდაჭერით და შესაბამისი ექსპერტის ჩართულობით, შემუშავდა წლიური ანგარიშის განახლებული ფორმატი და სტრუქტურა. აღნიშნულთან დაკავშირებით განხორციელდა ასოციაციის შესაბამისი თანამშრომლების ტრენინგი. ამასთან, 2019 წლის წლიური ანგარიში შემუშავდა ახალი ფორმატის შესაბამისად.

**აქტივობა:** უნივერსიტეტების დასაქმების ფორუმებში მონაწილეობა

ასოციაციის საქმიანობის თაობაზე დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობის მიზნით, ასოციაციამ მონაწილეობა მიიღო [საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტისა და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის](#) მიერ გამოცხადებულ დასაქმების ფორუმზე. ფორუმში მონაწილეობის მიზანი იყო, პოტენციური კადრების მოძიება და დაინტერესებული პირთათვის ასოციაციის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

**აქტივობა:** მოწყვლადი ჯგუფებისთვის პრობონო პროექტების ინიცირება და განხორციელება

2019 წლის მდგომარეობით, OSGF-ის მხარდაჭერით განხორციელებული პრობონო პროექტის ფარგლებში უფასო იურიდიული დახმარება გაეწია 31 ბენეფიციარს.

ასოციაციის თბილისის ოფისში სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საკითხებზე უფასო იურიდიული კონსულტაციის დღე გაიმართა. უფასო იურიდიულ კონსულტაციაზე



დარეგისტრირება და მაღალკვალიფიციური ადვოკატებისგან რჩევის მიღება ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო.

ასოციაციის ორგანიზებით, გაიმართა კონფერენცია თემაზე: „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა: გამოწვევები და შესაძლებლობები“. ღონისძიებას ქართველი ადვოკატები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სფეროში მომუშავე ექსპერტები დაესწრნენ, კონფერენციაზე სპეციალური საჭიროებების მქონე ადვოკატებს და მათი ოჯახის წევრებს სავარძელ-ეტლები გადაეცათ. კონფერენციის დასრულების შემდეგ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დღის ცენტრის - „სოციალური თერაპიის სახლის“ ბენეფიციარების მიერ შექმნილი ხელნაკეთი ნივთების გამოფენა გაყიდვა მოეწყო.

ასოციაციის ორგანიზებით ქართველი ადვოკატების მონაწილეობით ველორბოლა და საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა. ღონისძიებიდან შემოსული თანხა სრულად გადაეცა მრავალშვილიან, სოციალურად დაუცველ ოჯახს.

ასოციაციამ უფასო იურიდიულ დახმარება გაუწია 20-21 ივლისის მოვლენებისას, პარლამენტთან მომხდარი აქციის დროს დაზარალებულ და დაკავებულ პირებს. ასოციაციაში შეიქმნა ადვოკატთა ჯგუფი და მხარდაჭერის მიღების მიზნით მოქმედებდა ცხელი ხაზი.

**აქტივობა:** ადვოკატის საქმიანობის შესახებ პრომო ვიდეოების მომზადება და განთავსება ასოციაციის საკომუნიკაციო არხებში

ადვოკატის როლის პოპულარიზაციის მიზნით, [ევროპის საბჭოს \(COE\)](#) მხარდაჭერით, მომზადდა სოციალური რეკლამა ადვოკატის როლის შესახებ, რომელიც გავრცელდა სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით და გაშუქდა სატელევიზო ეთერით, თითქმის ყველა სატელევიზიო არხის მიერ. ამასთან, ცნობილი ქართველი დოკუმენტალისტის - თომა ჩაგელიშვილის მიერ მომზადდა დოკუმენტური ფილმი ქართული ადვოკატურის შესახებ, რომელიც გავრცელდა ასოციაციის საკომუნიკაციო არხების მეშვეობით.

**აქტივობა:** ადვოკატურის 100 წლის იუბილის აღნიშვნის სამოქმედო გეგმის შედგენა და განხორციელება

ქართული ადვოკატურის 100 წლის იუბილეს ფარგლებში, აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით შექმნილი საორგანიზაციო ჯგუფის მიერ შემუშავდა საიუბილეო წელს განსახორციელებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა არაერთი აქტივობა, რომლის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ასოციაციის წლიურ ანგარიშში (გვ.35) შემდეგ ბმულზე: <https://bit.ly/3b7Ebsf>

## საოპერაციო ამოცანა 4.2. ასოციაციის საკომუნიკაციო არხების სრულყოფა


### 4.2.1. ასოციაციის ვებ-გვერდის გაუმჯობესება

აქტივობა: ასოციაციის ახალი ვებ-გვერდის შექმნა, მისი შინაარსობრივი და ფუნქციონალური განვითარება

ასოციაციის საკომუნიკაციო არხების სრულყოფის მიზნით, დამზადდა ასოციაციის ახალი მულტიფუნქციური და თანამედროვე ვებ-გვერდი, რომელიც ითავსებს როგორც საინფორმაციო, ასევე, სარეგისტრაციო ფუნქციებს, მათ შორის:

- საგანმანათლებლო და სხვა ტიპის ღონისძიებებზე რეგისტრაცია;
- განაცხადების დისტანციურად მიღების შესაძლებლობა;
- ადვოკატებისა და საადვოკატო ბიუროების პროფილების რეგისტრაცია;
- წევრთა ერთიან ინტეგრირებული მონაცემთა ბაზა და მოქნილი საძიებო სისტემა;
- ეთიკის კომისიისათვის დისტანციურად მიმართვის შესაძლებლობა;
- ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებათა და რეკომენდაციათა საძიებო სისტემა და სხვა.

2019 წლის მაისს, საკომუნიკაციო არხების სრულყოფის მიზნით განხორციელებული რაოდენობრივი კვლევა (489 რესპოდენტი) ცხადყოფს, რომ განახლებული ვებ-გვერდი წარმოადგენს ასოციაციის წევრებისათვის ასოციაციის აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიღების ერთ-ერთ ძირითად წყაროს.



#### 4.2.2. ჟურნალ „ჩემი ადვოკატის“ რეფორმირება

**აქტივობა:** ჟურნალ „ადვოკატის“ განახლებული კონცეფციის შედგენა

თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით განხორციელდა ჟურნალ ადვოკატის განახლება, რამაც გამოიწვია როგორც ფორმატის ასევე, სარედაქციო საბჭოს შემადგენლობის განახლება. განახლებული სარედაქციო საბჭო დაკომპლექტდა სამართლის დარგისა და სხვა პროფესიული წრეების წარმომადგენლებისგან. სარედაქციო პოლიტიკა (გაფართოებული თემატიკა, პროფესიული რჩევები, საერთაშორისო პრაქტიკა, აქტუალური საკითხები) მიზნად ისახავს არამარტო სამართლის დარგის, არამედ საზოგადოების სხვა წევრების ინფორმირებას მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხებზე.

**აქტივობა:** სარედაქციო საბჭოს განსაზღვრა და დამტკიცება

განახლდა სარედაქციო საბჭო და იგი შედგება სამართლის დარგისა და სხვა პროფესიული წრეების წარმომადგენლებისგან.

**აქტივობა:** განახლებული კონცეფციის შესაბამისად ჟურნალ „ადვოკატის“ გამოცემა და ელექტრონული ვერსიების მიწოდება ყველა წევრისთვის

2019 წელს გამოიცა ჟურნალ „ჩემი ადვოკატი“ 2 ნომერი. ჟურნალის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ასოციაციის ვებგვერდზე. ამასთან, ჟურნალი მიეწოდება სახელმწიფო სტრუქტურებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ასოციაციის პარტნიორ ორგანიზაციებსა და რეგიონებში მოღვაწე ადვოკატებს.

## **სტრატეგიული მიზანი 5. ასოციაციის ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერება**

**საოპერაციო ამოცანა 5.2. ასოციაციის წევრების გააქტიურება და ჩართვა ასოციაციის საქმიანობაში**

### **5.2.1. ასოციაციის წევრთა პორტალის შექმნა**

**აქტივობა:** პორტალის ტექნიკური დოკუმენტის შედგენა

პორტალის შექმნისათვის საჭირო ტექნიკური დავალების დოკუმენტი შემუშავდა და გადაეგზავნა, როგორც დონორ ორგანიზაციას, ასევე პორტალების განვითარების საკითხზე მომუშავე კომპანიას.

**აქტივობა:** შერჩეული მომწოდებლის მიერ ასოციაციის წევრთა პორტალის შემუშავება

USAID/PROLoG-ის მხარდაჭერითა და Idea Design Group-ის ჩართულობით შეიქმნა ახალი ვებპორტალი, რომელიც 2020 წლიდან ამოქმედდება და ის საშუალებას მისცემს ადვოკატებს, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მონაწილეებს, მენტორებს, ტრენერებს და სხვა მომხმარებლებს სრულად ელექტრონული ფორმით მართონ საგანმანათლებლო პროცესი, მათ შორის: პრიორიტეტული ტრენინგ თემების გამოკვეთა, ტრენინგზე რეგისტრაცია, ონლაინ ტრენინგის გავლა, ტრენინგის შეფასება, კრედიტების მონიტორინგი, მენტორად დარეგისტრირება, მენტორებთან გადანაწილება, ინდივიდუალური კალენდრის მართვა, დავალებების მიღება-შესრულება-გაგზავნა, შიდა შეტყობინებების მიღება და გაგზავნა, ბლოგის/ფორუმის წარმოება და სხვა.

**აქტივობა:** ასოციაციის აპარატის თანამშრომლების ტრენინგი და ინსტრუქტაჟი ასოციაციის წევრთა პორტალის სათანადოდ გამოყენებაში

2019 წლის ნოემბრის თვეში „აიდიადიზაინის“ მიერ ახალი პორტალის გამოყენების უნარებში ჩატარდა ტრენინგი სასწავლო ცენტრის თანამშრომლებისთვის.

## 5.2.2. ასოციაციის წევრთა და იურიდიული ფირმების/ბიუროების რეესტრის განახლება

**აქტივობა:** ასოციაციის წევრთა ბაზის განახლება და ინფორმაციის დაზუსტება

წლების განმავლობაში ასოციაციის წევრთა მონაცემთა რამდენიმე და არასრულყოფილი ბაზის არსებობა აფერხებდა ადმინისტრირების პროცესს. 2019 წლის იანვარში მონაცემთა ბაზების შეფასების/ანალიზის და კონსოლიდირებული მონაცემთა ბაზის შემუშავების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. 2019 წლის ივლისის მდგომარეობით სამუშაო ჯგუფის მიერ, მომზადდა კონსოლიდირებული ბაზა, რომელიც მოიცავს სრულყოფილ ინფორმაციას როგორც ადვოკატთა ასოციაციის წევრების ასევე, საადვოკატო ბიუროების შესახებ:

- ასოციაციის წევრთა მონაცემთა ბაზა მოიცავს წევრობასთან დაკავშირებულ მაიდენტიფიცირებელ და საკონტაქტო ინფორმაციას;
- საადვოკატო ბიუროების მონაცემთა ბაზა მოიცავს ბიუროების საკონტაქტო ინფორმაციასა და მონაცემებს ბიუროში გაერთიანებულ პირების შესახებ.

**განახლებული ბაზა** (პერსონალური მონაცემების დაცვით) განთავსებულია ასოციაციის ვებ-გვერდზე და მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს მარტივად მოიძიოს ადვოკატი ან საადვოკატო ბიურო. აღნიშნული ბაზა სამუშაო ჯგუფის მიერ, რეგულარულად განახლდება.

**აქტივობა:** ასოციაციის წევრთა და იურიდიული ბიუროების ძებნადი მონაცემთა ბაზის შექმნა ვებზე

ასოციაციის ახალი ვებ-გვერდის შესაბამისი ფუნქციონალი იძლევა ადვოკატისა და ბიუროს მოძებნის შესაძლებლობას.

## 5.2.5. ასოციაციის ცენტრალური ოფისის ინფრასტრუქტურული განვითარება და მორგება წევრთა საჭიროებებზე

**აქტივობა:** ინფრასტრუქტურული განვითარებისთვის საჭირო მიწის ფართის მოძიება

ასოციაციის ახალი სათაო ოფისის მშენებლობისთვის საჭირო მიწის ნაკვეთი მოძიებულია და გადმოცემულია ასოციაციის სარგებლობაში.

**აქტივობა:** ახალი საოფისე ფართის კონცეფციის დამუშავება

დამუშავდა ახალი საოფისე ფართის კონცეფცია, რომელის საფუძველზეც არქიტექტორის მიერ დამუშავდა პროექტი და მოხდა მისი პრეზენტაცია 2019 წლის საიუბილეო ღონისძიებაზე.

**საოპერაციო ამოცანა 5.3. საერთაშორისო თანამშრომლობის შემდგომი განვითარება**

### 5.3.1. თანამშრომლობის გაღრმავება დონორებსა და საერთაშორისო პარტნიორებთან

**აქტივობა:** არსებულ პარტნიორ დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება და ახალი პროექტების/აქტივობების ინიცირება

ასოციაციის მთავარ პარტნიორ დონორ ორგანიზაციებთან 2019 წლის განმავლობაში გაგრძელდა აქტიური თანამშრომლობა და განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომლის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია წლიურ ანგარიშში (გვ.36) ბმულზე: <https://bit.ly/3b7Ebsf>

ამასთან, შესაბამისი მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების შედეგად, დამტკიცდა ევროსაბჭოს პროექტი, რომელიც მხოლოდ და უშუალოდ ადვოკატთა ასოციაციაზე იქნება კონცენტრირებული და ხელს შეუწყობს 2019-2022 წლების სტრატეგიული გეგმის განხორციელებას

**აქტივობა:** ახალი პარტნიორი დონორი ორგანიზაციების მოძიება და თანამშრომლობის დაწყება თანამშრომლობა განახლდა ამერიკის იურისტთა ასოციაციასთან (ABA). გაიმართა შეხვედრა ABA-ROLI-ის დირექტორთან, სადაც სამომავლო თანამშრომლობის გზები იქნა განხილული. ასევე, ABA-ის მხარდაჭერით ასოციაციამ ჩაატარა ბენჩ-ბარის ფორმატის შეხვედრა.

თანამშრომლობა დაიწყო ადვოკატთა ასოციაციასა და სოლიდარობის ცენტრს შორის. თანამშრომლობის ფარგლებში უკვე ჩატარდა შრომის სამართლის კომიტეტის გასვლითი შეხვედრა.

გაღრმავდა თანამშრომლობა ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოსთან“, რომლის ფარგლებშიც დაიწყო და მიმდინარეობს 2 პროექტის განხორციელება (შშმ პირთა იურიდიული დახმარება; ტრენინგები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში).

**აქტივობა:** საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება

კიდევ უფრო გააქტიურდა თანამშრომლობა ევროპის ადვოკატთა ასოციაციასთან და ასევე ჰონგ-კონგის ადვოკატთა ასოციაციასთან. აღნიშნულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობითა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ საერთაშორისო იურიდიულ ფორუმს უმასპინძლა, თემაზე - „ერთი სარტყელი, ერთი გზა.“

გააქტიურდა თანამშრომლობა ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციასთან (IBA). მათ შორის, IBA-ის ორგანიზებით ქალაქ სეულში IBA-ის ყოველწლიური კონფერენცია ჩატარდა, რომელშიც 130-ზე მეტი ქვეყნის 6000 დელეგატთან ერთად, ასოციაციის აღმასრულებელი მდივნის ხელმძღვანელობით და IBA-ის დაფინანსებით ახალგაზრდა ქართველ ადვოკატთა დელეგაციამ მიიღო მონაწილეობა.

**აქტივობა:** ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზება

წარმატებით განხორციელდა 2019 წლის ადვოკატთა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც გამოირჩეოდა მასშტაბურობითა და საერთაშორისო წარმომადგენლობით. კონფერენციის შესახებ ანგარიში მოცემულია ასოციაციის წლიურ ანგარიშში (გვ.38) ბმულზე: <https://bit.ly/3b7Ebsf>

## საოპერაციო ამოცანა 5.4. სტრატეგიული სამოქმედო გეგმის ეფექტიანი მონიტორინგის განხორციელება

### 5.4.1. სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მექანიზმის დანერგვა

ასოციაციის თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცდა სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შესრულებასა და მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები, სამოქმედო გეგმის განხორციელების ვადები და პროცედურები. სამოქმედო გეგმის შესრულების 6 თვის, ყოველწლიური და მონიტორინგის ყოველი 2 წლის ანგარიში წარედგინება ასოციაციის აღმასრულებელ საბჭოს აღმასრულებელი მდივნის მიერ.